ნაფიცმა მსაჯულებმა საკუთარი აღმზრდელის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დამნაშავედ არ ცნეს და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს

მოსამართლე, ბრალდებული, რამდენიმე მოწმე და უფლებადამცველი — ამ შემადგენლობით 20 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს #1 სხდომათა დაბრაზში, იმიტირებული სასამართლო პროცესი წესების სრული დაცვით ჩატარდა. პროცესი უჩვეულო იმითაც იყო, რომ ნაფიცი მსაჯულების როლი სხვადასხვა მედიასაშუალებების თორმეტმა წარმომადგენელმა მოირგო. ჟურნალისტებმა მცირე ხნით, საკუთარი პროფესია გვერდით გადადეს და „ბრალდებულ“ ილია წულაძის ბედის გადასაწყვეტად ნაფიც მსაჯულებად იქცნენ. მართალია, პერსონაჟები არარეალურები იყვნენ, თუმცა პროცესს, დაახლოებით ერთი წლის წინ, დამამძიმებელ გარემოებაში, რეალურად მომხდარი გახმაურებული მკვლელობა დაედო საფუძვლად.

რეალურად მომხდარი გახმაურებული მკვლელობა იმიტირებულ სასამართლო პროცესზე

სასამართლოს 1 დარბაზში გამართულ იმიტირებულ პროცესზე განხილული საქმის არსი შემდეგი იყო: ვინმე ტიტე მის საკუთრებაში არსებულ მარკეტში დაკარგული 12 ათასი ლარის გამო, მის აღზრდილ ილია წულაძესთან შეკამათდა, რა დროსაც მოხდა გასროლა და აღმზრდელი გარდაიცვალა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ილია წულაძის წინააღმდეგ საქმე 109-ე მუხლით აღიძრა.

ცნობისათვის, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ფუნქციონირებს, რომელიც მიზნად ისახავს მოქალაქეების პირდაპირ, უშუალო მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელებაში. ამასთან, დადგენილია, რომ ნაფიცი მსაჯულები იმ საქმეებში იღებენ მონაწილეობას, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლითაა აღძრული — მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში.

იმიტირებულ პროცესზე, მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში, როგორც ბრალდებულის, ასევე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს ეცნობოდნენ. ილია წულაძის წინააღმდეგ წარმოდგენილ იქნა შემდეგი მტკიცებულებები: გარდაცვლილის გვამი და ცეცხლსასროლი იარაღი ბრალდებულის ბინაში იყო ნაპოვნი, ასევე ბალისტიკურმა ექპერტიზამ ცეცხლსასროლ იარაღზე მხოლოდ წულაძის თითის ანაბეჭდები იპოვა.

საკუთარი მტკიცებულებები წარმოადგინა დაცვის მხარემაც. ბრალდებულის უფლებადამცველი მოსამართლესა და თორმეტ ნაფიც მსაჯულს არწმუნებდა, რომ ილია წულაძეს მისი აღმზრდელი ტიტე მოკვლითა და მეუღლის გაუპატიურებით ემუქრებოდა, ბალისტიკურმა ექპერტიზამ კი იარაღზე თითის ანაბეჭდები იმის გამო ვერ აღმოაჩინა, რომ შეკამათების დროს გარდაცვლილს ბრალდებულის ხელზე ჰქონდა მისი ხელი დაფარებული.

პროცესზე რამდენიმე „მოწმეც“ დაიკითხა. მათ შორის, პროკურატურის თანამშრომელი, რომელმაც გასროლის შემდეგ, პოლიციის გამოსაძახებლად მიმავალი ბრალდებული ილია ლესელიძის ქუჩაზე დააკავა. მოწმის სტატუსით დაიკითხა ბრალდებულის მეუღლეც, რომელმაც დაადასტურა, რომ მათი ოჯახის მეგობარი ტიტე, მას მართლაც გაუპატიურებით ემუქრებოდა. პროცესზე მოწმედ გამოცხადდა ტიტეს მფლობელობაში არსებული მარკეტის ერთ-ერთი თანამშრომელიც, სწორედ ამ მარკეტში მუშაობდა მენეჯერად ბრალდებული ილია.

ერთი სიტყვით, იმიტირებულ პროცესზე საქმის განხილვა იმდენად აქტიურად მიმდინარეობდა, რომ რეალური პროცესისგან მას ვერც კი განასხვავებდით.

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მოწმეთა ჩვენებების მოსმენის შემდეგ, მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტის გამოტანა სთხოვა. თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა სასამართლო დარბაზი დატოვა და სათათბირო ოთახში პოზიციების შესაჯამებლად გადაინაცვლა.

ნაფიცმა მსაჯულმა ჟურნალისტებმა საბოლოო ვერდიქტის გამოტანამდე ყველა მტკიცებულება კიდევ ერთხელ გააანალიზეს, ცოტა იკამათეს, ბევრი იმსჯელეს

და რამდენიმეწუთიანი თათბირის შემდეგ საბოლოო განაჩენზეც შეთანხმდნენ. მათი ცხარე კამათისა თუ მსჯელობის პარალელურად, სასამართლო დარბაზში შეკრებილი საზოგადოება ნაფიცი მსაჯულებისა და მოსამართლის გადაწყვეტილებას დაძაბული ელოდა.

საბოლოოდ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სიმცირის გამო, ნაფიცმა მსაჯულებმა ილია წულაძეს გამამართლებელი

განაჩენი გამოუტანეს — საკუთარი აღმზრდელის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დამნაშავედ არ ცნეს და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. სასამართლოს დარბაზში შეკრებილები ამ გადაწყვეტილებას ოვაციებით შეხვდნენ.

პროცესის დასრულების შემდეგ, საკუთარი გადაწყვეტილებით კმაყოფილნი ჩანდნენ თავად ჟურნალისტებიც. როგორც მათ „ვერსიასთან“ საუბრისას განაცხადეს, გამამართლებელი განაჩენის წინააღმდეგი მხოლოდ „იმედის“ ჟურნალისტი ლევან ტაბიძე იყო, რომელიც ბრალდებულის დასჯას კანონის შესაბამისად მოითხოვდა.

ინფორმაციისთვის: კანონმდებლობა კრძალავს ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოების გამხელას, ამიტომ მომავალში რეალური პროცესის აღწერისას, ჟურნალისტები ვერ შეძლებენ, საჯარო გახადონ ინფორმაცია, თუ რომელმა მსაჯულმა რა ვერდიქტს დაუჭირა მხარი.

ირაკლი მაისურაძე, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი: ბრალდებულის მხარე არ იყო საკმარისად მომზადებული, რათა ნაფიც მსაჯულებს მათი არგუმენტაცია დაეჯერებინა. ვფიქრობ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მეტ სტიმულს მისცემს, როგორც დაცვის, ასევე ბრალდებულ მხარეს.

ეკა მიშველაძე, საზოგადოებრივი არხის ჟურნალისტი: ნაფიც მსაჯულად ყოფნა, თავისთავად, დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან ადამიანის ბედი სწორედ ამ თორმეტი ადამიანის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ეს მოითხოვს ძალიან დიდ ენერგიას, ცოდნასა და ყურადღებას. მიმაჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჟურნალისტებმა სწორი განაჩენი გამოვიტანეთ.

ზემოთ აღნიშნული პროცესის პარალელურად, იმიტირებული პრო ცესი ორ სხვადასხვა დარბაზშიც მიმდინარეობდა, სადაც ნაფიც მსაჯულების ამპლუაში ბრალდებულის საქმეს მეხანძრეები და ექიმები განიხილავდნენ.

თბილისის საქალაქო სასამართლოში სამივე იმიტირებული პროცესი „საზოგადოებრივი სასამართლოს“ ფარგლებში გაიმართა, რომლის მიზანი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის პოპულარიზაციაა.

მაია მიშელაძე

რას ნიშნავს 367-ე პრიმა მუხლი ნაფიცი მსაჯულებისთვის?

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი ცვლილება შედის, რომელიც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს ეხება. კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კახა ანჯაფარიძე. წარმოდგენილი კანონპროექტით, სისხლის სამართლის კოდექსს ემატება 367-ე პრიმა მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევის კრიმინალიზაციას. კერძოდ — „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.



რომელი ნაფიცი მსაჯულიც დუმილის უფლებას დაარღვევს, გადაიხდის ჯარიმას, ან 2 წლით ციხეში ჩაჯდება

„კენჭისყრის თათბირის საიდუმლოება მოწოდებულია იქეთკენ, რომ კონკრეტული დამნაშავისთვის არ გახდეს ცნობილი, თუ რომელმა ნაფიცმა მსაჯულმა, რა პოზიცია დაიკავა“

გარდა ამისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეხება სხვა ცვლილებებიც, რომლებიც აღნიშნულ კანონპროექტში შედის:

„აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტით, ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს, სამუშაო ადგილი და ანაზღაურება უნარჩუნდება არა მხოლოდ საჯარო სექტორში, არამედ კერძო სექტორში დასაქმებულ პირსაც. ცვლილებას განიცდის 226-ე მუხლიც, წარმოდგენილი რედაქციის თანახმად, როდესაც წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ბრალდებულს შეუძლია იშუამდგომლოს, რომ საქმე განხილულ იქნას ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვისათვის აღარ არის საჭირო მხარეთა ერთობლივი შუამდგომლობა“.

კონკრეტულად, რას ნიშნავს ეს ცვლილებები, ან რა დამცავი მექანიზმია ჩადებული კანონში იმ შემთხვევაში, თუკი 12 ნაფიცი მსაჯულიდან დუმილს მხოლოდ ერთი დაარღვევს, მაგრამ მისი კოლეგა, სხვა ნაფიც მსაჯულს გადააბრალებს? კანონპროექტის ავტორმა, კახა ანჯაფარიძემ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევისგან დაცული ვერავინ იქნება. კანონი კანონია, დუმილის უფლების დარღვევის შემთხვევაში, ნაფიცი მსაჯულების პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად დადგება:

— ეს ნორმა ყველა ქვეყანაში მოქმედებს, სადაც კი ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი არსებობს.

ამ ცვლილებით, ნაფიცი მსაჯულების დასაცავად კიდევ ერთი ბერკეტი შეიქმნება, რადგან ამ შემთხვევაში, კენჭისყრის თათბირის საიდუმლოება მოწოდებულია იქეთკენ, რომ კონკრეტული დამნაშავისთვის არ გახდეს ცნობილი, თუ რომელმა ნაფიცმა მსაჯულმა, რა პოზიცია დაიკავა.

შესაბამისად, ეს იქნება კიდევ ერთი მექანიზმი იმისა, რომ პროცესის დროს, ნაფიცი მსაჯული მოქმედებდეს მხოლოდ და მხოლოდ თავისი შინაგანი რწმენიდან გამომდინარე და არ უსვამდეს დამატებით შეკითხვებს საკუთარ თავს, თუნდაც იმასთან დაკავშირებით, რა იქნება ხვალ, თუკი მისი პოზიცია გამჟღავნდება.

— ბატონო კახა, ეს ცვლილება ახლა შეგაქვთ, ანუ იმ დროს, როცა ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი ამოქმედებული არ არის, რატომ?

— არა, ეს ინსტიტუტი ამოქმედებულია, უბრალოდ, გარდამავალ დებულებებში გვიწერია. 109-ე მუხლი მოქმედებს და როგორც კი იქნება დანაშაული, რომელიც ჯდება ამ მუხლში, ანუ სისასტიკით ჩადენილი მკვ ლელობა, მაშინვე დაიწყებს მუშაობას, თუკი თვითონ განსასჯელი არ იტყვის უარს ნაფიც მსაჯულებზე. ეს არის დროის და შემთხვევის საკითხი, თუ როდის დაფიქსირდება ასეთი დანაშაული, თორემ საკანონმდებლო თვალსაზრისით, ეს უკვე მოქმედებს. მართალია, შეზღუდული მუხლებით, მაგრამ ნორმა უკვე ძალაშია. იმის გამო, რომ ნორმა ძალაშია, თუნდაც შემცირებული მოცულობით, აუცილებელია, ყველა გარანტი სახეზე იყოს, რათა სრულყოფილად იმუშაო ს.

— დავუშვათ, 12-დან ერთ-ერთმა ნაფიცმა მსაჯულმა დაარღვია დუმილი, მაგრამ მის კოლეგას გადააბრალა, რა ხდება ასეთ დროს?

— რა თქმა უნდა, ნაფიცი მსაჯულების თათბირის დარღვევა სწორედ ამას გულისხმობს, ანუ სავალდებულო არ არის, ჯგუფურმა შემადგენლობამ დაარღვიოს კანონი. რომელი ნაფიცი მსაჯულიც დაარღვევს დუმილის უფლებას, ის მოყვება ამ მუხლის ზემოქმედების ქვეშ.

მაია მიშელაძე

ტრენინგი მოსამართლეებისთვის „ბავშვები მართლმსაჯულების სისტემაში“

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე დაბა კაჭრეთში მოსამართლეებისთვის სამდღიანი ტრენინგი გაიხსნა.

ტრენინგი **UNICEF** -ის მხარდაჭერითა და დაფინანსებით იმართება. ტრენინგს გახსნის გაეროს ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელი აარონ გრინბერგი.

ტრენერებად მოწვეულები არიან ამერიკელი და ქართველი ექსპერტები.

მოსამართლეებისთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით ტრენინგები ბოლო სამი წელია აქტიურად იმართება, სასამართლო ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვთა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას და ამ სფეროში მოსამართლეებისთვის მაღალი კვალიფიკაციის უზრუნველყოფას.

თბილისში ავტოსაგზაო შემთხვევას ორსული ქალი ემსხვერპლა

თბილისში ორი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, დაღუპულია ორსული ქალი. ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის გამზირზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 18 წლის ქალი დაიღუპა, რომელიც ხუთი თვის ორსული იყო. ჯიპის ტიპის ავტომობილი ჯერ ორსულს შეეჯახა, ადგილიდან მიმალვის მცდელობისას კი დედა-შვილს დაეჯახა, რომლებიც სკოლიდან შინ ბრუნდებოდნენ. ავტოავარიის შედეგად დაშავებული დედა-შვილი ამ დრომდე ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ რჩება. დედას გულმკერდის დახურული ტრავმა აქვს, შვიდი წლის ბავშვს კი მრავლობითი დაჟეჟილობები აღენიშნება. სამართალდამცავებმა შემთხვევიდან ერთ საათში დააკავეს ავტომობილი, რომელშიც რამდენიმე ახალგაზრდა იმყოფებოდა. სამართალდამცავები ცდილობენ გაარკვიონ, თუ ვინ მართავდა მანქანას ავარიის მომენტში. მძღოლისა და მგზავრების ვინაობა, ჯერჯერობით, არ სახელდება. რუსთაველის გამზირზე კი ერთმანეთს „ბეემვესა“ და „ოპელის“ მარკის ავტომობილები შეეჯახნენ. მომხდარის შედეგად ორი ადამიანი დაშავდა. დაშავებულები წმინდა მიხეილის საავადმყოფოში ქვედა კიდურების მოტეხილობით გადაიყვანეს. ექიმების თქმით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო და სამაშველო ბრიგადები, რომლებმაც დაშავებულები მანქანებიდან ტექნიკის დახმარებით გამოიყვანეს. ავტოავარიის გამომწვევ წინასწარ მიზეზად გადაჭარბებული სიჩარქე სახელდება.

„მედიანიუსი“

სასამართლოს თანამშრომლები ერთმანეთს ჭადრაკში შეეჯიბრნენ

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზებით, ვერის პარკში მდებარე ჭადრაკის სასახლეში, საერთო სასამართლოებს შორის გაიმართა ღია ტურნირი ჭადრაკში. აღნიშნულ ღონისძიებას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი ესწრებოდა. გამარჯვებულებს პრიზები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ გადასცა.

შეჯიბრი შვეიცარული სისტემით 28 მონაწილეს შორის 7 ტურად ჩატარდა და მასში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და საერთო სასამართლოების თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

7-დან 6 ქულით ერთპიროვნულად გაიმარჯვა გიგა ქუტიძემ (ოზურგეთის რაიონული სასამართლოს კურიერი). ნახევარი ქულით ნაკლები დააგროვეს და დამატებითი მაჩვენებლებით შემდეგნაირად განაწილდნენ:

მეორე ადგილის მფლობელი გახდა – ალექსანდრე იოსელიანი (თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე)

მესამე ადგილის მფლობელი – გიორგი კობახიძე (საქართველოს უზენაესი სასამართლოს კურიერი).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კვლავ ჩაატარებს მსგავს სპორტულ ღონისძიებებს, რომელიც პერმანენტულ ხასიათს მიიღებს.